საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

მერაბ კეზევაძე

ჯვარისის წმინდა გიორგის ეკლესია

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი 2016

საქართველოს
ეროვნული
არქივი

UDC (უაკ) 271.222 (479.22)

ვუძღვნი ჩემი დის
ეთერი კეზევაძე-ვათიაშვილის
ნათელი ხსოვნას.

წიგნი დაიბეჭდა ტყიბულისა და თერჯოლის
მიტროპოლიტის, მაღალყოვლადუსამღვდელოესი
გიორგის (შალამბერიძე) ლოცვა-კურთხევით.

წიგნში, ძირითადად, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, გადმოცემულია ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის წარსული და თანამედროვეობა.

რედაქტორი **პროფესორი დავით შავიანიძე**

ISBN 978-9941-9435-8-4

© მერაბ კეზევაძე, 2016

საქართველოს
ეროვნული
არქივი

2000 წელია, რაც ქართველი ხალხი ქრისტიანობას გაეცნო და მას შემდეგ ჯვარმა, როგორც ქრისტიანობის მთავარმა სიმბოლომ, სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა მის ყოფასა და ენაში. გაჩნდა უამრავი ტოპონიმი, რომელთაც სახელრქმევის დროს საფუძვლად დადებია „ჯვარი“. ბევრმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია, მათ შორის ორი, სოფელია ჯვარისის სახელწოდებით, რაჭასა (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) და იმერეთში, ოკრიბაში[1] (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ორივე ეს სოფელი პირველად XI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ისტორიულ საბუთში „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“ (ეწ. „ნიკორწმიდის იადგარი“) მოიხსენიება. პირველი, როგორც „ზნაკუას, ჯუარისა“, მეორე კი „ოკრიბას, ჯუარისა“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ.I თბ. მც. 1984 გვ. 40, 43).

ისტორიული ოკრიბის სოფელი ჯვარისა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ჯვარისის თემში შედის. იგი თემის ცენტრია, ქუთაისიდან 22, ტყიბულიდან კი 33 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ღვაღვანას ხეობაში, ზღვის დონიდან 480 მეტრზე მდებარეობს, სადაც 150 კომლამდე ცხოვრობს. სოფლის სახელწოდება ეტიმოლოგიურად ადვილად იშიფრება, ის ჯვარს უკავშირდება, რაც ჯვარისელთა წინაპრების გამორჩეულ დამოკიდებულებას ჯვრისა და ქრისტიანობისადმი კიდევ ერთხელ ადასტურებს. ჯვარის სახელს ატარებს ასევე, სალოცავად მიჩნეული ადგილი „ჯვარი“, რომელიც მეზობელი სოფლებიდან შემომავალ გზების გასაყარზეა.

1 ოკრიბა წყაროებში პირველად მეთერთმეტე საუკუნეშია მოხსენიებული. სახელწოდება „ოკრიბა“ მომდინარეობს ზანური „კირიბ“ სიტყვიდან, რაც „საბატკნეს“ ნიშნავს. (დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქუთ. 2005. გვ.6).

საქართველოს ეროვნული არქივი

ადგილი „ჯვარი“.

დღეს სოფლის მთავარი სალოცავი წმინდა გიორგის ეკ-ლესიაა, რომელიც 130 წლის წინათ აკურთხეს. აქაურთა მთავარი საეკლესიო დღესასწაული გიორგობაა, რომელიც 6 მაისს (ძველი სტილით 23 აპრილს) აღინიშნება (წმ. გიორგის თავის კვეთის დღე — 303 წ.).

ჯვარისის უფრო ადრინდელ ეკლესიებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ცნობილია, რომ დღევანდელი ტაძრის წინამორბედი 1786 წელს ყოფილა ნაკურთხი (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, ანაწერი 1, საქმე14963, ფურცელი 115). აღნიშნული ეკლესია აღწერილია იმერეთის მიტროპოლიტ დავითის 1844 წლის სარევიზიო ანგარიშში, რომელშიც ვკითხულობთ: ,,სოფლის ჯვარისის წმიდის გი-ორგის ეკლესია, ქვის შენობისა, ცა შეკრული აქვს ფიცრით, იატაკი დაფენილი აქვს ქვითა, ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი კალისა, მრევლი ორმოცდაშვიდი კომლნი მრევლის მღვდელი გრიგოლ გიორგაძე, დიაკონი დიმიტრი გიორგაძე,

საქართველოს ეროვნული არქივი

პრიჩეტნიკი ძე მღვდლისა გიორგი გიორგაძე. საეკლესიონი საბუთნი არიან ჯეროვან წესსში“ (ქცა. ფ.21 ან. 1, ს. 2903 ფ. 18).

1879 წლის დოკუმენტიდან კი ჩანს, რომ ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიას უკვე აქვს ხის სამრეკლო, ჰქონდა ერთი ხელი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი თავის გაწყობილობით, ორი ხელი სამღვდელო და ერთი ხელი სადიაკვნო შესამოსელი. ამ დროს ეკლესიაში ორი მღვდელი, ერთი დიაკონი და ერთი მედავითნე მსახურობდა. მასზე მიწერილი იყო მანდიკორის წმ. გიორგის ეკლესია (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.14963, ფ.115), ასევე სოფელი ხორჩანა, რომელსაც საკუთარი ეკლესია არ ჰქონდა.

По описи № 261

ДѢЛО

ИМЕРЕТИНСКОЙ ЕПАРХІАЛЬНОЙ КАНЦЕЛЯРІИ.

Начало 17 Августа 1879 года.

Кончилось 28/X 1885 года.

На 6 листахъ.

ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობაზე შექმნილი საარქივო საქმე

ჯვარისის მცხოვრებთა ნაწილი საეკლესიო გლეხები ყოფილა, რომელთაგან რამდენიმე როგორც ამას „დავთარი ქუთაისის საკათედრო ტაძრის ბეგრისა“ ადასტურებს ქუთაისის ღვთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) ტაძრისადმი ყოფილან შეწირულნი. ეს დოკუმენტი 1578 წელსაა შედგენილი და იხსენიებს ჯვარისაში მცხოვრებთ – ებაურიძეს, სირბილაძეს და დიდბარიძეს (ქართული სამართლის ძეგლები ტ.III თბ. მც. 1970 გვ.299). სავარაუდოდ მათი მემკვიდრეების და შეიძლება სხვა ჯვარისელთა ქუთაისის ტაძრისადმი შეწირულობა განუახლებია 1773 წელს იმერეთის მეფე სოლო-

საქართველოს ეროვნული არქივი

მონ პირველს. დოკუმენტში შეწირულთა გვარები არ ჩანს, აღნიშნულია მხოლოდ, რომ შეწირა „ ჯვარისას, ტაძრის აგარაკითურთ , გლეხნიცა მოსახლენი“ (ქართული სამართლის ძეგლები ტ.II თბ. მც. 1965 გვ.431). ნაწილი გლეხებისა კი გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტრისათვის ყოფილა შეწირული, როგორც XVII საუკუნის 60–იანი წლების ბაგრატ მეფის შეწირულობის სიგელით ჩანს მას მონასტრისათვის შეუწირავს „ჯვარისას ერთ კვამლად პაატა ებაურიძე, ერთ კვამლად გოჩია ებაურიძე, ერთ კვამლად ხახუტა ცირღილაძე, ერთ კვამლად დათვია სიბილაძე – ესენი მათის მამულითა, ალაგითა, შესავალითა, გამოსავალითა, საძებრითა, უძებრითა, მართლისა სამართლიანისა საქმითა“ (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია–ოდიშის სამთავროების წ.I თბ. 1958 გვ. 32). სოფელში დიდი ადგილმამულები ჰქონდათ გელათის და მოწამეთის მონასტრებს.

ჯვარისის ეკლესიას, როგორც დოკუმენტებით დასტურდება, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძირითადად გიორგაძეთა გვარის ადგილობრივი სასულიერო წოდების წარმომადგენლები წინამძღვრობდნენ. მარტო იმერეთში ამ გვარის 20 მღვდლის მოღვაწეობა დასტურდება XIX საუკუნეში. მათ შორის უმეტესობა ჯვარისელი გიორგაძეებია. 1843 წლის მონაცემებით სოფელში მცხოვრები (სოფელ ხორჩანასთან ერთად) 15 გვარის (ასათიანი, ბაბუხადია, ბაკურაძე, ბუბაშვილი, გიორგაძე, გოგლიჩიძე, გრიგოლაშვილი, დიდბარიძე, კვირიკეიშვილი, მესხი, მიქაძე, სანდუხაძე, სირბილაძე, ჩირაძე, ყიფიანი, ხელაძე) 47 კომლიდან 20 გიორგაძის იყო, რომელთაგან ორი კომლი მღვდლისა და დიაკვნისა გახლდათ (ქ.ც.ა. ფ.21, ან. 1, ს.2453 ფ.196–204).

ჯვარისელ ღვთისმსახურ გიორგაძეებს შორის ღირსეული ადგილი უჭირავს დეკანოზ იოსებ გრიგოლის ძე გიორგაძეს, რომელიც 1879 წლის 2 მარტიდან შეუდგა ღვთისმსახურებას ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიაში და რომლის სა-

საქართველოს ეროვნული არქივი

ხელსაც უკავშირდება ახალი ეკლესიის აგება. მას ღვთისმსახურების დაწყებისთანავე შთაუგონებია მრევლი, ნაცვლად ძველი ეკლესიისა, ახალი ეკლესიის ასაგებად, რისთვისაც დაუთმია საკუთარი ეზოს ნაწილი. როგორც ჩანს, მღვდლისა და მრევლის სურვილი ერთმანეთს დაემთხვა, რისი შედეგიც კარგად იკითხება 1879 წლის 18 ივლისს ოკრიბის მთავარხუცესი მღვდლის სპირიდონ ძოწენიძის იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი გაგზავნილ პატაკში, რომლითაც მოახსენებდა, რომ სოფელ ჯვარისის მცხოვრებთ უკვე აურჩევიათ ახალი ეკლესიის ასაგებად სამშენებლო კომიტეტი და ხელშეკრულებაც დაუდვიათ კურსებელ ოსტატებთან ივანე და ფირან ბერეკაშვილებთან, თადეოზ ნიშნიანიძესთან და კონსტანტინე უკლებასთან. მთავარხუცესი თხოვდა ეპისკოპოსს ნებართვას, რათა დროულად შეძლებოდათ კომიტეტსა და ოსტატებს ეკლესიის აგების დაწყება. გაბრიელ ეპისკოპოსმა 28 აგვისტოს მთავარხუცესს წერილით აცნობა, რომ ნებასა და კურთხევას აძლევდა მრევლს ახალი ეკლესიის ასაგებად, რომელიც უნდა აეშენებინათ გოდოგნის ეკლესიის გეგმისა და ფასადის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ კედელი არ ყოფილიყო ორ არშინზე (140სმ.) ნაკლები სისქის, კომიტეტს უნდა გაეწია მშენებლობაზე ზედამხედველობა და წელიწადში სამჯერ მშენებლობის შესახებ მოეხსენებია ეპისკოპოსისათვის.

1879 წლის 22 ნოემბერს ოკრიბის მთავარხუცესმა მღვდელმა სპირიდონ ძოწენიძემ გაბრიელ ეპისკოპოსს პატაკით აცნობა, რომ ეკლესიის ბალავერი ჩაყრილი იყო და თხოვა, რათა სამშენებლო კომიტეტის ზედამხედველად დაენიშნა ადგილობრივი მღვდელი იოსებ გიორგაძე. გაბრიელ ეპისკოპოსი დათანხმდა და მთავარხუცესს შენიშვნაც მისცა „რასაკვირველია ზედამხედველი უნდა იყოს უამისოდაც, ვითარცა იმ მრევლის ეკლესიის მღვდელი, რაპორტი რა საჭირო იყო ამაზედ?“.

საქართველოს ეროვნული არქივი

დეკანოზი იოსებ გიორგაძე

1884 წლის 24 ივნისს უკვე მღვდელმა იოსებ გიორგაძემ, როგორც იმჟამად ოკრიბის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებელმა, მოახსენა გაბრიელ ეპისკოპოსს, რომ ეკლესიის აგება მთავრდებოდა და აპირებდნენ თაღის შეკვრას, მაგრამ „მრევლის სიღარიბემ და მასალის უმექონებლობამ და შორედამ ზიდვამ, მრევლნი მისი მიიყვანა უკანასკნელ დაცემასა და სიღარიბეში“, ანუ მშენებლობას ვეღარ აგრძელებდნენ, რისთვისაც თხოვდა, ეკლესიის მედავითნე არქიფო ბერეკაშვილისათვის ნება დაერთო 1 წლის ვადით მოწყალების შეგროვებაზედ, ეპისკოპოსი დათანხმდა (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.14871, ფ.1,5).

მრევლის და კეთილი ადამიანების შემოწირულობით 1885 წელს ეკლესიის მშენებლობა დასრულდა. ახალი ეკლესია 1886 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს, წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს) საზეიმოდ აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.17813 ფ.5). გაბრიელ ეპისკოპოსის შემდეგ ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღუვლენიათ იმერეთის ეპისკოპოსებს ლეონიდეს (1903 წ.) და გიორგის (1911 წ.).

ჯვარისის წმინდა გიორგის ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის დარბაზული ეკლესიაა, რომელიც თლილი თეთრი ქვითაა შემოსილი. ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე, რომლის სიმაღლე 40 სმ-ია. ეკლესიის კედლის სიგრძეა 12,8 მ (აფსი-

საქართველოს ეროვნული არქივი

დის გარეშე), შვერილი აფსიდის წახნაგების სიგრძეა 3მ, დასავლეთის კედლის სიგრძეა 9,2 მ. სიმაღლე 8 მეტრზე მეტია. ეკლესიის შიგა ზომებია: სიგრძე 15,4 მ, განი 7,3 მ. ფასადი გაფორმებულია XI-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ელემენტებით: ხუთ წახნაგად შვერილი აფსიდი შეწყვილებული ლილვებით გამოყვანილი დეკორატიული თაღებითაა შემკობილი, რომელთაც ბურთულებიანი იმპოსტები და ბაზისები აქვს, ინტერიერი პილასტრებითა და თაღებითაა დანაწევრებული. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს, დეკორატიული თაღითა და თაღოვანი ტიმპანით მხოლოდ დასავლეთის და სამხრეთის კარებია გაფორმებული, ხოლო ჩრდილოეთისას ოთხკუთხა თავსართი შემოყვება, რომელიც თავზე თაღოვანი ტიმპანითაა გაფორმებული. დასავლეთის და სამხრეთის შესავლელების თავზე ტიმპანებში ამოკვეთილია რელიეფური ჯვრები. შენობა ბერეკაშვილთა ერთ-ერთი ტიპიური ნამუშევარია: ქვითხუროთა ამ საგვარეულოს XIX საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში აგებული რამდენიმე ათეული ეკლესია ერთიდაიგივე გეგმით დეკორის სქემით და მაღალი ტექნიკური ხარისხით ხასიათდება.

მღვდელი იოანე გიორგაძე

ეკლესიის გალავანში იდგა ხის სამრეკლო.

ეკლესიის საეკლესიო ნივთ–სამკაულით გამშვენიერება

საქართველოს ეროვნული არქივი

კურთხევის შემდეგაც გაგრძელებულა. კურთხევიდან მალე მიუღიათ ხატები მოსკოვიდან, ცნობილი კორტნევის სახელოსნოდან. (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.16331 ფ.87) ხოლო 1895 წელს სხვადასხვა პირებმა 153 მანეთის ღირებული ნივთ–სამკაული შეწირეს. შემომწირველებს მღვდელი იოსებ გიორგაძე ჟურნალ „მწყემსის“ საშუალებით, 1895 წლის 30 ივლისის ნომერში (N13), მადლობას უხდიდა და ჩამოთვლიდა შემოწირულ ნივთებს: „სენაკის სათავად–აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორმა სამსონ გიორგის ძემ ყიფიანმა ერთი წყვილი ბაირაღი, ღირებული 40 მანეთისა; ეგნატე ანდრიას ძემ გიორგაძემ ერთი დიდი საწიგნე, მეორე პატარა, სამთლის შკაფი და მესამე, საკონდაკე ღირებული 25 მანეთისა; სიმონ მაღლაკელიძის ქვრივმა რუსუდან კვიმსაძის ასულმა ერთი წყვილი დიდი შანდლები, ღირებული 20 მანეთისა; კონსტანტინე სიკოს ძემ ბაკურაძემ ტრაპეზედ დასასვენებელი სანაწილე, ღირებული 18 მანეთისა; ბესარიონ ლევანის ძემ ყიფიანმა მაცხოვრის ხატი, ღირ. 10 მანეთისა; გლეხმა მეთოდე გიორგის ძემ სირბილაძემ ღვთისმშობლის ხატი, ღირ. 10 მანეთისა; მღვდელმა დიმიტრი გიორგაძემ ტრაპეზის შესამოსი ფარჩა ღირ. 10 მანეთისა; სალომე გიორგაძის ასულმა ჯვარი ღირებული 10 მანეთისა; გრიგოლ ანტონის ძემ ტრაპეზზედ დასადგმელი სამ ტოტიანი შანდალი, ღირებული 5 მანეთისა; გიორგი შიოს ძემ დიდაბარიძემ შანდალი ღირებული 5 მანეთისა.“ („მწყემსი“ 1895წ. 30.07 N13 გვ.16) გარდა ამისა, როგორც მღვდელ იოსებ გიორგაძეს ნამსახურების სიიდან ჩანს მას, „კეთილმნებლობითი შემოწირულობით“ შეუგროვებია 207 მანეთი, რითაც შეუძენია სამრეკლოს ზარი და სამღვდელო შესამოსელი, ჯერ კიდევ ახალი ეკლესიის კურთხევამდე. (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.16255 ფ.109).

ჯვარისის ეკლესიას ჰქონდა საკუთარი ადგილ-მამული, რომელიც შვიდი ნაკვეთისგან შედგებოდა: 1),, ჩიროულა“ – ზომით 150 კვ.საჟ.(დაახლოებით 615 კვ.მ) 2) „კოდისთავი“ –

საქართველოს ეროვნული არქივი

16 კვ.საჟ 3) „საყდრისგვერდი“ – 63 კვ.საჟ. 4) „ნოჩხიდორე-ბი“ – 50 კვ.საჟ. 5) „წისქვილის კარი“– 154 კვ.საჟ. 6) „კორტი“ – 800 კვ.საჟ. 7)„ ჯირკოულა“ –729 კვ.საჟ. რადგანაც ეს ად-გილები მცირე მოსავლიანი იყო, ზოგჯერ არავინ არ იღებდა იჯარით. თუმცა 1895 წლის მონაცემებით ჩანს, 1891 წლის იანვრიდან 7 წლით ყოფილა არენდით გაცემული გლეხებზე გრიგოლ მიქაძეზე, მიქელა გიორგაძეზე, იოსებ და გრიგოლ სირბილაძეებზე 4 მანეთად და 20 კაპიკად წელიწადში (ფ.21, ან. 1, ს19496ფ.97).

ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლის რაოდენო-ბა ხშირად იცვლებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ამ ეკლესიის მრევლად ითვლებოდა სოფელ ხორჩანის მოსახლეობა, რო-მელთაც საკუთარი ეკლესია არ გააჩნდათ, ხოლო სხვა ეკ-ლესიები პერიოდულად მიეწერებოდა. სხვადასხვა წლებში მრევლის რაოდენობა და სოციალური შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა: 1887 წლის მონაცემებით მრევლში ცხოვ-რობდა 141 კომლი, 10 სასულიერო წოდების, 13– აზნაური და 118 გლეხი, სულ 1052 სული 567–კაცი, 485 – ქალი. (ქცა.ფ.21 ს.17405 ფ.51) შედარებისთვის აღვნიშნავთ, 1843 წლისათ-ვის სულ სოფელში 47 კომლი ცხოვრობდა (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.2453 ფ.196–204) ხოლო 1879 წელს: მრევლი 114 კომლს, მათ შორის სამღვდელონი – 10, აზნაურნი – 12, და გლეხნი – 92 კომლი. სულ 504 მამრი და 414 მდედრი (ფ.115) 1905 წელს მრევლი შეადგენდა 109 კომლს. სასულიერონი – 6, აზნაურე-ბი – 9, გლეხები – 94. სულ მამაკაცი 404 და ქალი 391. (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.22170, ფ.91) 1910 წელს ეკლესიის მრევლი შეად-გენდა 112 კომლს. სასულიერონი – 6, აზნაურები – 11, გლე-ხები – 96, სულ მამაკაცი 420 და ქალი 397 (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს 24189, ფ.111).

ახალი ნაკურთხი ეკლესიის პირველი წინამძღვარი გახდა ამავე ეკლესიის მღვდელი და სამშენებლო კომიტეტის თავ-მჯდომარე იოსებ გრიგოლის ძე გიორგაძე, რომელიც დაბა-

საქართველოს ეროვნული არქივი

დებული იყო 1840 წელს, მღვდლის ოჯახში. მისი წინაპრები, ბაბუა გიორგი და მისი მამა იოვანეც მღვდლები იყვნენ. იოსებს სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. საღმრთო წერილი, ტიბიკონი და გალობა უსწავლია ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზ გიორგი გოგიჯანოვთან. 1857–1868 წწ. მსახურობდა ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიაზე მედავითნედ, უშტატოდ. 1868 წლიდან კი შტატშია. 1872–1873 წლებში მანდიკორის საზოგადოებაში შეკრიბა 40 ყმაწვილი და ქართულ–რუსულ ენაზე შეასწავლა წერა–კითხვა და ლოცვები. 1876 წლის 25 იანვარს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი იქნა დიაკვნად ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიაზე, აქვე იქნა ხელდასხმული მღვდლად იმავე ეპისკოპოსის მიერ 1879 წლის 4 თებერვალს. მოვალეობის შესრულებას შეუდგა 2 მარტიდან. ეკლესიის წინამძღვრობასთან ერთად, მას ზოგჯერ ოკრიბის მთავარხუცესის მოვალეობის შესრულებაც უწევდა, 1883 წლის 11 მარტიდან კი მთავარხუცესის თანაშემწედ ითვლებოდა. 1884–1887 წლებში იყო იმერეთის სამღვდელოების ყრილობის დეპუტატი, 1886 წლის 26 იანვარს, ახალი ეკლესიის კურთხევისას, ეკლესიის აგებაში დიდი დამსახურებისათვის გაბრიელ ეპისკოპოსმა დააჯილდოვა საგვერდულით, 1887–1892 წლებში იყო ოკრიბის სამღვდელოების მოძღვართ–მოძღვარი. **1889 წლის 1 თებერვალს, გაბრიელ ეპისკოპოსის ნებართვით, საკუთარ სახლში, გახსნა საანბანო (დაწყებითი) სკოლა** (ჯვარისაში პირველი სასწავლებელი), სადაც ყველა საგანს თვითონ ასწავლიდა. 1890 წლის მონაცემებით სკოლაში 22 ბავშვი სწავლობდა. 1891 წლის 7 იანვრიდან მასწავლებლობა გადააბარა თავის შვილს იოანეს, თვითონ კი სკოლის გამგედ დარჩა, სადაც პენსიაში გასვლამდე იმსახურა. სკოლა მის სახლში 1903 წლის ბოლომდე, სკოლის ახალი საკუთარი შენობის აგებამდე იყო მოთავსებული. 1890 წელს დააჯილდოვეს სკუფიით, 1895 წელს კა-

საქართველოს ეროვნული არქივი



ოკრიბის მთავარხუცესი მღვდლის სპირიდონ ძოწენიძის თხოვნა ჯვარისის ახალი ეკლესიის მშენებლობის ნებართვაზე იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის რეზოლუციით

საქართველოს ეროვნული არქივი

ეკლესის წინამძღვარი მამა სტეფანე დოღონაძე მრევლთან.

ეკლესიის ინტერიერი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯვარი დასავლეთის შესასვლელის ტიმპანში.

ჯვარი სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

მილავკით, 1899 წელს გულსაკიდი ჯვრით, 1897 წლის რუსეთის იმპერიის პირველ საყოველთაო აღწერაში აქტიური მონაწილეობისათვის მუქი ბრინჯაოს მედლით. 1901 წელს დაინიშნა ჯვარისის საეკლესიო სამრევლო სკოლის ამგები სამშენებლო კომიტეტის წევრად. 1904 წელს, ლეყერეთის ღვთისმშობლის ეკლესიის გამშვენებისათვის გაწეული ღვაწლისათვის, იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა გამოუცხადა მღვდელმთავრული მადლობა. 1909 წლის 24 მაისს აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში. 1910 წლის 9 სექტემბერს საკუთარი სურვილით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. შვილებიდან ერთი – ნესტორი ქუთაისის მწვანეყვავილის მთავარანგელოზთა ეკლესიის, ხოლო მეორე იოანე – ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო (ქ.ც.ა. 21, ან. 1, ს. 24189, ფ. 199).

იოანე იოსების ძე გიორგაძე ეკლესიის წინამძღვარი გახდა მამის პენსიაზე გასვლის შემდეგ. იგი დაბადებული იყო 1873 წლის 19 აპრილს სოფელ ჯვარისაში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორი კლასი. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიიღო მასწავლებლობის უფლება და 1891 წლის 1 იანვრიდან ჯვარისის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელია. 1910 წლის 1 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ ხელი დაასხა დიაკვნად, იმავე წლის 17 ოქტომბერს - მღვდლად და ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა, სადაც გარდაცვალებამდე, 1944 წლამდე თითქმის უწყვეტლად იმსახურა (ქ.ც.ა. 21, ან. 1, ს. 24691, ფ. 199, 200).

სხვადასხვა წლებში ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიის დიაკვნის მოვალეობას ასრულებდნენ არჩილ იოსების ძე მხეიძე, არქიფო სიმონის ძე ბერეკაშვილი, მოსე სვიმონის ძე გიორგაძე. განსაკუთრებით დიდი იყო არქიფო ბერეკაშვილის დამსახურება ახალი ეკლესიის მშენებლობაში. იგი დაბადებული იყო 1850 წელს. სასულიერო განათლება მიღებული

საქართველოს ეროვნული არქივი

ჰქონდა გელათის მონასტერში. მნათეა 1876 წლიდან. იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ნებართვით, ახალი ეკლესიის მშენებლობის დროს კეთილმნებლობითი შეწირულობით შეაგროვა 500 მანეთი, რისთვისაც 1886 წლის 26 იანვარს გაბრიელ ეპისკოპოსმა უკურთხა სტიქარი (ქცა.ქ.21. ან. 1, ს.19085 ფ.90). 1886-1889 წლებში ეკლესიის მამასახლისი იყო როსტომ შოშიტას ძე გიორგაძე (იქვე, ფ. 87), 1892-1905 წლებში მიქელ ნიკოლოზის ძე გიორგაძე (ქ.ცა. ფ.21, ან. 1, ს.19085, ფ.90), 1905 წლიდან კი ბესარიონ სიმონის ძე გიორგაძე (ქ.ცა. 21, ან. 1, ს. 22170, ფ. 88).

XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე (1917 წ.), ჯვარისის ეკლესიაზე მყოფი მღვდლის ხელფასი წელიწადში 300 მანეთი იყო, მედავითნის – 100 მანეთი. მრევლიდან კი დრამის სახით მღვდელი 90 მანეთს, მედავითნე კი 30 მანეთს იღებდა. გარდა ამისა, მრევლისგან დამატებით მღვდელი იღებდა 50 მანეთს, მედავითნე – 20 მანეთს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.), მალე ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესია დაკეტეს. წირვა-ლოცვის აკრძალვა ხანმოკლე გამოდგა. 1923 წლის 24 დეკემბერს, ახალი კანონმდებლობის საფუძველზე, ჯვარისის მორწმუნე საზოგადოებამ (315 სულმა, ანუ მოსახლეობის თითქმის ნახევარმა, ამ დროისათვის ჯვარისასა და ხორჩანაში სულ 752 სული ცხოვრობდა), თავის ყრილობაზე, დაადგინა რელიგიური საზოგადოების (ფაქტობრივად არსებულის) შექმნა შესაბამისი დებულებით და აირჩია აღმასრულებელი ორგანო სევერიან თედორეს ძე გიორგაძის, მიხეილ სოფრომის ძე დიდბარიძის და იოსებ მეთოდეს ძე სირბილაძის შემადგენლობით. ასევე აირჩია ეკლესიის მსახურები : მღვდელი იოანე იოსების ძე გიორგაძე და მედავითნე ნიკოლოზ ლაზარეს ძე კუბლაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები: პანტელ დი-

საქართველოს ეროვნული არქივი

მიტრის ძე სირბილაძე და მაქსიმე ივანეს ძე ასათიანი მრევ-ლის წევრებიდან (ქ.ც.ა 296, ან. 1, ს. 528, ფ.8,18, 50, 51).

მოგვყავს ამ გაბედული მრევლის მამაკაცი წევრების სია ასაკის ჩვენებით, რომელიც დღეისათვის ერთგვარ გენეა-ლოგიურ მასალადაც შეიძლება ჩაითვალოს:

გრიგოლ მაქსიმეს ძე ასათიანი 24
ისააკ ივანეს ძე ასათიანი 55
იულო პეტრეს ძე ასათიანი 50
მიხეილ მაქსიმეს ძე ასათიანი 30
ორენტი მაქსიმეს ძე ასათიანი 33
ვასილ სოსიას ძე ბაბუხადია 52
თერეპონ ვასილის ძე ბაბუხადია 25
ბიკტორ თედორეს ძე ბაკურაძე 24
ვლასი კონსტანტინეს ძე ბოგვერაძე 45
ალექსანდრე ზაქარიას ძე გვეტაძე 30
ამბაკო ზაქარიას ძე გვეტაძე 50
ვლადიმერ მიხეილის ძე გვეტაძე 30
იოსებ ზაქარიას ძე გვეტაძე 63
ღენტორ იოსების ძე გვეტაძე 20
ალექსანდრე სიმონის ძე გიორგაძე 46
ალქსანდრე დიმიტრის ძე გიორგაძე 45
გიგო პეტრეს ძე გიორგაძე 72
გიორგი ბეჟანის ძე გიორგაძე 56
გიორგი დავითის ძე გიორგაძე 65
გიორგი ზოდიკის ძე გიორგაძე 80
გიორგი ბასილის ძე გიორგაძე 30
გიორგი სოფრომის ძე გიორგაძე 32
გიორგი დავითის ძე გიორგაძე 50
გრიგოლ ზოდიკის ძე გიორგაძე 65
გრიგოლ ივანეს ძე გიორგაძე 60
დანიელ ნიკოლოზის ძე გიორგაძე 26
დანიელ მაქსიმეს ძე გიორგაძე 26
დომენტი მიქელის ძე გიორგაძე 47
ემელიან გიორგის ძე გიორგაძე 20

საქართველოს ეროვნული არქივი

ერმალო ლუკას ძე გიორგაძე 47
ესტატე ნიკოლოზის ძე გიორგაძე 64
ესტატე დიმიტრის ძე გიორგაძე 55
ვასილ სიმონის ძე გიორგაძე 45
ვლადიმერ კოსტას ძე გიორგაძე 35
თადეოზ ლუკას ძე გიორგაძე 33
თადეოზ სიმონის ძე გიორგაძე 60
თედორე ფილიპეს ძე გიორგაძე 75
თედორე ბასილის ძე გიორგაძე 40
თეოფილე გრიგოლის ძე გიორგაძე 36
თომა ივანეს ძე გიორგაძე 55
თომა პავლეს ძე გიორგაძე 50
იაკოფ ბასილის ძე გიორგაძე 72
იასონ სტეფანეს ძე გიორგაძე 20
ივანე პავლეს ძე გიორგაძე 58
ივანე მიხეილის ძე გიორგაძე 20
იოსებ ბეჟანის ძე გიორგაძე 48
ისიდორე იასონის ძე გიორგაძე 61
ისიდორე ნიკოლოზის ძე გიორგაძე 23
ისიდორე კოსტას ძე გიორგაძე 34
ისმაილ პორფილის ძე გიორგაძე 25
ისმაილ საბას ძე გიორგაძე 35
იულო გიორგის ძე გიორგაძე 26
კოსტანტინე ანდრეას ძე გიორგაძე 60
კოსტანტინე ნიკოლოზის ძე გიორგაძე 21
კოსტანტინე ბასილის ძე გიორგაძე 60
ლადიკო ლუკას ძე გიორგაძე 23
ლავრენტი ივანეს ძე გიორგაძე 22
ლავრენტი ანდრეას ძე გიორგაძე 40
ლუკა სპირდონის ძე გიორგაძე 68
მაქსიმე ნიკოლოზის ძე გიორგაძე 38
მაქსიმე ბართლომეს ძე გიორგაძე 50
მაქსიმე გაბრიელის ძე გიორგაძე 40
მელიტონ გრიგოლის ძე გიორგაძე 45

საქართველოს
ეროვნული
არქივი

მიხეილ ილიას ძე გიორგაძე 36
მიხეილ დავითის ძე გიორგაძე 60
მიხეილ დავითის ძე გიორგაძე 53
ნეკტორ პავლეს ძე გიორგაძე 19
ნესტორ ზაქარიას ძე გიორგაძე 38
ნესტორ გრიგოლის ძე გიორგაძე 27
ნიკო ერმალოს ძე გიორგაძე 65
ნიკოლოზ გრიგოლის ძე გიორგაძე 55
ნიკოლოზ მიქელის ძე გიორგაძე 60
პავლე დავითის ძე გიორგაძე 80
პართენ ესტატეს ძე გიორგაძე 28
პახუმი პორფილის ძე გიორგაძე 20
პახუმი საბას ძე გიორგაძე 30
პორფილე პეტრეს ძე გიორგაძე 64
რაჟდენ ლუკას ძე გიორგაძე 60
რომანოზ ლუკას ძე გიორგაძე 51
სევერიანე თედორეს ძე გიორგაძე 33
სიმონ დავითის ძე გიორგაძე 70
სიმონ მიქელის ძე გიორგაძე 26
სტეფანე თედორეს ძე გიორგაძე 27
ტერენტი ლუკას ძე გიორგაძე 32
ფილიმონ სიმონის ძე გიორგაძე 38
ფილიპე ანდრეას ძე გიორგაძე 48
შიო გიორგის ძე გიორგაძე 72
ლუკა თედორეს ძე გიორგაძე 68
ალექსანდრე სიმონის ძე გიორგაძე 46
ალექსანდრე იაკობის ძე გოგლიჩიძე 71
იაკობ მარკოზის ძე გოგლიჩიძე 70
მელიტონ ანდრეას ძე გოგლიჩიძე 36
პორფილე იაკოფის ძე გოგლიჩიძე 40
შალვა ანდრეას ძე გოგლიჩიძე 20
გიორგი სიმონის ძე გორგიძე 27
იასონ ანდრეას ძე გოტიაშვილი 45
დანიელ თადაოზის ძე გრიგოლაშვილი 31

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ივანე იესეს ძე გრიგოლაშვილი 60
აკაკი კოსტანტინეს ძე დარახველიძე 40
ალექსანდრე დიმიტრის ძე დიდბარიძე 50
ალექსი გიგოს ძე დიდბარიძე 66
გაბრიელ თედორეს ძე დიდბარიძე 28
გალაქტიონ პორფილის ძე დიდბარიძე 24
გერასიმე გიორგის ძე დიდბარიძე 65
გიორგი ანდრეას ძე დიდბარიძე 80
გრიგოლ ეგნატეს ძე დიდბარიძე 29
ბიკტორ ალექსის ძე დიდბარიძე 23
ეგნატე მიქელის ძე დიდბარიძე 52
ერმალო გიორგის ძე დიდბარიძე 32
თედორე ლაზარეს ძე დიდბარიძე 62
იაკობ დიმიტრის ძე დიდბარიძე 40
ივანე დავითის ძე დიდბარიძე 68
ივლიანე ნესტორის ძე დიდბარიძე 33
ირაკლი ნესტორის ძე დიდბარიძე 28
ისაია ივანეს ძე დიდბარიძე 35
მაქსიმე სოფრომის ძე დიდბარიძე 52
მელიტონ პორფირის ძე დიდბარიძე 32
მინა პორფილის ძე დიდბარიძე 19
მიხეილ სოფრომის ძე დიდბარიძე 50
მიხეილ სოფრომის ძე დიდბარიძე 50
საბა ლაზარეს ძე დიდბარიძე 72
სევასტი ნესტორის ძე დიდბარიძე 35
სოფრომ ლაზარეს ძე დიდბარიძე 77
ტარასი იოსების ძე დიდბარიძე 80
თედორე სოფრომის ძე კვირიკეიშვილი 35
ივანე ნიკიფორეს ძე კვირიკეშვილი 28
დომენტი იოსების ძე ლომთაძე 28
ალექსანდრე ივანეს ძე მესხი 55
დავით ოქროპირის ძე მიქაძე 55
ერისტო მაქსიმეს ძე მურუსიძე 50
ალექსანდრე ვასილის ძე სირბილაძე 35

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ალექსანდრე გერასიმეს ძე სირბილაძე 35
ანტონ მეთოდეს ძე სირბილაძე 50
ბესარიონ ლუკას ძე სირბილაძე 63
ბესარიონ სტეფანეს ძე სირბილაძე 33
ბესარიონ მოსეს ძე სირბილაძე 45
გიორგი ვასილის ძე სირბილაძე 35
გიორგი გერასიმეს ძე სირბილაძე 28
გიორგი ნესტორის ძე სირბილაძე 22
დავით პავლეს ძე სირბილაძე 30
დანიელ როსტომის ძე სირბილაძე 34
ევგენი ანდრეას ძე სირბილაძე 38
ვარლამ გაბრიელის ძე სირბილაძე 30
ვასილ გიორგის ძე სირბილაძე 60
ვასილ ლუკას ძე სირბილაძე 48
ვასილ გერასიმეს ძე სირბილაძე 35
ვლადიმერ მახარას ძე სირბილაძე 32
თედორე ნიკოლოზის ძე სირბილაძე 80
იასონ მახარას ძე სირბილაძე 32
ივანე როსტომის ძე სირბილაძე 25
ივლიანე სტეფანეს ძე სირბილაძე 47
იოსებ მეთოდეს ძე სირბილაძე 60
ირაკლი ესტატეს ძე სირბილაძე 30
ისიდორე სტეფანეს ძე სირბილაძე 28
ისმაილ მიხეილის ძე სირბილაძე 23
კონსტანტინე ივანეს ძე სირბილაძე 52
კოსტა გრიგოლის ძე სირბილაძე 60
ლუკა გიორგის ძე სირბილაძე 60
მაქსიმე ლუკას ძე სირბილაძე 62
ნესტორ როსტომის ძე სირბილაძე 44
ნესტორ ბასილის ძე სირბილაძე 43
საბა მეთოდეს ძე სირბილაძე 40
სევერიან ანდრეას ძე სირბილაძე 29
სევერიანე თომას ძე სირბილაძე 25
სერგო მახარას ძე სირბილაძე 33

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სილოვან შიოს ძე სირბილაძე 23
ტარასი ნესტორის ძე სირბილაძე 19
არჩილ ბესარიონის ძე ყიფიანი 52
ნოე ალექსანდრეს ძე ყიფიანი 30
მინა ბესარიონის ძე შალიკიანი 36
ბაგრატი სოლომონის ძე შანიძე 30
ნიკო ივანეს ძე ჩხიკვაძე 80
სერგი ნიკოლოზის ძე ჩხიკვაძე 35
ექვთიმე ვასილის ძე ცნობილაძე 38
კონდრატი ექვთიმეს ძე ცნობილაძე 28
(ქცა. ფ. 296, ან.1, ს.528, ფ. 21-32).

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა 1924 წლის 22 მარტს ჯვარისის წმ. გიორგის რელიგიური საზოგადოება რეგისტრაციაში გაატარა, 31 მაისს კი ეკლესიის შენობა და საღვთისმსახურო ნივთები ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასცა რელიგიური საზოგადოების წარმომადგენლებს – პონტელ დიმიტრის ძე სირბილაძეს, მაქსიმე ივანეს ძე ასათიანს და გიორგი ბეჟანის ძე გიორგაძეს. (ქცა. ფ296 ან.1 ს.528.ფ56,62)

ეკლესიის შენობასთან ერთად მრევლმა მიიღო შემდეგი ნივთ–სამკაული:

„1. ბარძიმ –ფეშხუმი ვერცხლისა დაახ. ½ გირ.
2. კოვზი და ტაკუკი ვერცხლისა – 6 მისხ.
3. ვარსკვლავი ვერცხლის 6 „– „
4. ჯვარი ვერცხლისა პატარა ¼ გ.
5. სახარება ფრაჟის ყდით 1
6. ჯვარი უბრალო 1 7. სანაწილე უბრალო 1
8. პატარა სასანთლეები 4
9. ტრაპეზის (სტოლი) ოთხკუთხი ქვის 1
10. შესამოსელის შესანახი შკაფი 1
11. შესამოსელი ტრაპეზის და მღვდლის 2 რწყ.
12. დიდი სასანთლეები 4
13. იკონოსტასი
14. დასაკიდი კედლის ხატები 27

საქართველოს ეროვნული არქივი

15. პატარა კანკელები 3
16. ოდიკიდეგარდამოხსნა
17. დიდი კანკელი ერთი
18. საეკლესიო დროშები 2
19. საწიგნე შკაფი 1
20. სასანთლე შკაფი 1
21. პატარა საწიგნეები 2
22. ემბაზი სპილენძისა 15 გ.
23. სააიაზმე სპილენძის 3გ.
24. ღვთის მსახურების წიგნები 12
25. სხვადასხვა წმინდანების ცხოვ. წიგნაკები 15
26. გვირგვინები უბრალო 2
27. ზეთის და პურის საკურთხი თუნუქ 1
28. საცეცხლური უბრალო 1
29. პატარა სტოლი 1
30. ხატის დასასვენებელი სტოლი 1
31. სკამები ორი
32. ზარები სამი, საშვალი, უფრო მორჩილი და პატარა
33. საყარაულო ძელური ხის სახლი ყავრით დახურული“
(ქცა. ფ296 ან.1 ს.528.ფ64,65)

1924 წელს აღდგენილ ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესიაში ზუსტად 20 წელი, 1944 წლამდე, ნებადართულად თუ მალულად, მიმდინარეობდა ღვთისმსახურება. 1944 წელს, ეკლესიის წინამძღვრის იოანე გიორგაძის გარდაცვალების შემდეგ კი შეწყდა. ეკლესიის შენობა ადგილობრივ კოლმეურნეობას გადაეცა, რომელიც მას თივის საწყობად იყენებდა. 1962 წელს თივით გავსებულ ეკლესიაში ხანძარი გაჩნდა, რამაც შენობა მნიშვნელოვნად დააზიანა. 1990–იანი წლების დასაწყისში ჯვარისის მოსახლეობამ, სოფლის იმჟამინდელი გამგებლის ქალბატონ ვენერა მაღლაფერიძის თაოსნობით, გადაწყვიტა ეკლესიის აღდგენა. საინიციატივო ჯგუფს გვერდში დაუდგა და აქტიური დახმარება აღმოუჩინა, წარმო-

საქართველოს ეროვნული არქივი

დეკანოზი ფილიპე გობეჯიშვილი

შობით ჯვარისელმა, დეკანოზ იოსებ გიორგაძის შვილიშვილმა ბატონმა ფლორენტი გიორგაძემ, რომელიც უკვე პენსიაზე იმყოფებოდა და ქუთაისში ცხოვრობდა. ბატონმა ფლორენტიმ სოფლის გადაწყვეტილება ქუთათელ–გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) გააცნო. მეუფე კალისტრატემ მოიწონა მრევლის გადაწყვეტილება და აღუთქვა დახმარება. ეკლესიის აღდგენის ძირითადი სამუშაოები ჩატარდა 1998–2001 წლებში. კერძოდ გაკეთდა ახალი კანკელი, დაიწერა წმინდანთა 12 ხატი, გაკეთდა ხის ტრაპეზი, ახალი კარ-ფანჯარა (2 კარი, 7 ფანჯარა), დაიკიდა ჭაღი, დაიდგა ლითონის ჯვარი, ეკლესიაში შეიცვალა იატაკის დაზიანებული ფილები. ჩამოთვლილი სამუშაოს შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს, როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ (წიგნის ფორმატი, სამწუხაროდ პერსონალურად მათი ჩამოთვლის საშუალებას არ გვაძლევს) ასევე სხვა პირებმაც, კერძოდ: დეკანოზმა შალვა აფხაიძემ, ბიზნესმენებმა ზელიმხან, გაიოზ, ომარ და ნოდარ გიორგაძეებმა. თავად ფლორენტი გიორგაძემ ეკლესიაზე და მასში მოღვაწე მამებზე საინტერესო ბროშურები დაბეჭდა. ასე რომ, 2001 წლის 6 მაისს, წმ. გიორგის დღესასწაულზე აღდგენილ ეკლესიაში დეკანოზმა შალვამ (ანზორ აფხაიძემ), კვლავ აღავლინა ღვთის სადიდებელი ლოცვა. ეკლესია 2003 წლის 18 ივნისს აკურთხა ქუთათელ-გაენათელმა მიტრო-

საქართველოს ეროვნული არქივი

პოლიტმა კალისტრატემ. ჯვარისის წმ. გიორგის ეკლესია იმჟამად ქუთაის-გაენათის ეპარქიას ეკუთვნოდა, დღეს კი ტყიბულ-თერჯოლის ეპარქიაშია. ახლად ნაკურთხი ეკლესიის პირველი წინამძღვარი გახდა მღვდელი ფილიპე გობეჯიშვილი, 2011 წლის 4 სექტემბრიდან ეკლესიის წინამძღვარია მღვდელი სტეფანე (მევლუდ) დოღონაძე. იგი დაიბადა 1965 წლის 24 ივლისს ტყიბულის რაიონის სოფელ კოკაში. საერო განათლების მიღების შემდეგ, 2012 წელს, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. ეკლესიის მრევლია 1998 წლიდან. 2015 წლის იანვარში დაჯილდოვდა ოქროს ჯვრით. ჰყავს მეუღლე მარიამ დოღონაძე, რომელიც მედავითნეა, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

მამა სტეფანეს წინამძღვრობისას, ტყიბულ-თერჯოლის მიტროპოლიტის მეუფე გიორგის ლოცვა–კურთხევითა და მრევლის თანადგომით ბევრი რამ გაკეთდა ეკლესიის კეთილმოწყობისათვის: ხის ტრაპეზი შეიცვალა ეკლარის ქვის ტრაპეზით, ჩაიდგა ახალი კანკელი, ეკლესიის სამხრეთ ხის კარი შეიცვალა ლითონის კარით, შეძენილი იქნა ახალი ზარი და ნოხები, შეკეთდა ეკლესიასთან მისასვლელი გზები. რაც მთავარია, რწმენას დაუბრუნდა და ტაძარში მივიდა ათეიზმის ეპოქაში აღზრდილი, შიშის და იდეოლოგიის გამო ქრისტიანობის ჩუმად მაღიარებელი, ადგილობრივი მოსახლეობა. ეკლესიის განახლებაში დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: გიორგი, ოთარი, თორნიკე, გოჩა, ავთანდილ, ტარიელ, თემურ, რამაზ, ვაჟა, მურმან, გია გიორგაძეებმა, დავით და მალხაზ დიდბარიძეებმა, ბესო კვირიკეიშვილმა, ავთანდილ და გოგიტა მანაგაძეებმა, ელდარ ბაბუხადიამ... მამა სტეფანეს კიდევ ბევრი რამ სასიკეთო აქვს ჩაფიქრებული, რომელთა განხორციელებას იმედია უფლის შეწევნით შეძლებს და საუკუნეგადაცილებული ეკლესიის ისტორიას მრავალ ლამაზ ფურცელს შემატებს.

საქართველოს ეროვნული არქივი

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის
მადლობას ვუხდით მამა სტეფანე დოღონაძეს, ბატონებს:
გიორგი მაჩურიშვილს და ნოდარ ბერეკაშვილს.

წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით და უსასყიდლოდ დარიგდება.

ოპერატორი თამარ კეზევაძე

გადაეცა წარმოებას 7.02.2016,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.02.2016,
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 1,75,
ტირაჟი 200, შეკვეთა №33

ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.

საქართველოს
ეროვნული
არქივი